ხელშეკრულება №96

ქ. ზესტაფონი 14 დეკემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ, ააიპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის უფროსის მ/შ გიორგი ორბელაძის (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #11 (შემდგომში-- შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ი/მ აკაკი მელაძის (მისამართი: ქ. ზესტაფონი, ჭანტურიას ქ. #68) სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში--ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საქონლის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ააიპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრისათვის ელ სადენის და სამეურნეო საქონლის შესყიდვა. შესყიდვის დანაყოფის კოდი: CPV 24951120, 31651000, 44310000, 44320000, 44530000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1549 (ათასხუთასორმოცდაცხრა) ლარს;

ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

24900000 კოდით ------ 36 ლარი; 44300000 კოდით ------ 1210 ლარი;

31600000 კოდით ------ 53 ლარი; 44530000 კოდით ------ 250 ლარი;

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის უფროსის მ/შ მიერ 2017 წლის 20 ივნისის #195 ბრძანებით შექმნილი კომისია.

4.2 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაძღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ზესტაფონი, ფარნავაზის ქ#2;

5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში;

6.5 იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი არ დაისაჭიროებს მომსახურეობის შესყიდვისათვის განკუთვნილ ღირებულებას სრულად, მიმწოდებლის პრეტენზია გათვალისწინებული არ იქნება.

7. პირსაგამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირსაგამტეხლო ყოველ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%--ის ოდენობით.

7.2 პირსაგამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მეორე მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებთ შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

ააიპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სააგენტოს უფროსის მ/შ:

გიორგი ორბელაძე

სახელმწიფო ნაზინა

ს/კოდი;: 430024555

მის: ქ. ზესტაფონი ფარნავაზის ქ. №2

ტელ:595-03-01-41

მიმწოდებელი:

ი/მ აკაკი შელაძე

ს/კ 18001010654

ს.ს „საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი

BAGAGE22

ა/ა № GE02BG0000000151067701

მისამართი: ქ. ზესტაფონი, ჭანტურიას ქ. #68

ტელ: 599-19-52-16

	CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ
1	24951120	სილიკონი	ცალი	2	8	16
2		წებო	ცალი	4	5	20
					ჯამი	36
3	31651000	იზოლენტა	ცალი	40	1,20	48
4		სკოჩი	ცალი	1	5	5
					ჯამი	53
5	44320000	ელ სადენი პუგნპ 2*0,75	მეტრი	1500	0,45	675
6		ელ სადენი პუგნპ 2*2,5	მეტრი	100	1,35	135
7	44310000	ტროსი	მეტრი	500	0,80	400
					ჯამი	1210
8	44530000	პლასტმასი ქამარი (დამჭერი)	ცალი	100	2,50	250